სსიპ კოლეჯ „აისის“ 2024 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში

კვლევის განმახორციელებელი:
სსიპ კოლეჯი „აისი“

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახური

2024 წელი

შინაარსი

შესავალი.....3
კვლევის მიზნები.....3
კვლევის ამოცანები.....3
კვლევის მეთოდოლოგია და ტექნიკური მხარე.....4
კვლევის სამიზნე ჯგუფი.....4
კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა პროგრამების მიხედვით.....5
დემოგრაფიული და ასაკობრივი მონაცემები.....6
დასაქმების პროცენტული მჩვენებელი 7
პროფესიებზე დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი.....8
კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა.....18
კურსდამთავრებულთა სამუშაოს მახასიათებლები.....19
კურსდამთავრებულთა შემდგომი გეგმები.....20
პროფესიული პროგრამის შეფასება.....21
სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის შეფასება 21
სწავლისას მიღებული კომპეტენციების შეფასება….....22
სწავლით ზოგადი კმაყოფილების შეფასება….....22
დასკვნა.....23

შესავალი

კურსდამთავრებულთა კვლევა საუკეთესო საშუალებაა სწავლების რეალური შედეგების გაზომვის შეფასებისა და აღწერისთვის. იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გრძელვადიანი ეფექტიანობის შესაფასებლად. კვლევის საშუალებით ვიღებთ მრავალმხრივ ინფორმაციას კურსდამთავრებულთა შემდგომი პროფესიული განვითარების შესახებ, განათლების გაგრძელების, დასაქმების, თვითდასაქმების თუ უმუშევრობის კუთხით. შეგროვებული მონაცემთა ბაზა აერთიანებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა შესახებ, ასევე მათ შეფასებებს, რაც საფუძველს ქმნის სრულყოფილი ანალიზისთვის.

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნები

კვლევის მიზანია, გააანალიზოს კურსდამთავრებულთა გამოცდილება, მათი კმაყოფილება სწავლის პროცესით და შრომის ბაზარზე მათი ინტეგრაცია, რათა შეფასდეს კოლეჯის საგანმანათლებლო ხარისხის და პროგრამების ეფექტურობა.

კვლევა იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს სასწავლო რესურსები, სწავლის პირობები და სასწავლო პროცესის სხვადასხვა კომპონენტი სწავლების შედეგებზე. მიღებული მონაცემები მნიშვნელოვანია, როგორც კონკრეტული სასწავლო პროგრამების, ისე მთლიანად საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებისთვის. კვლევის შედეგები დაეხმარება პროფესიული პროგრამების ხარისხის შეფასებასა და შემდგომი განვითარების დაგეგმვას.

კვლევის ამოცანები

კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანებია:

1. კურსდამთავრებულთა ზოგადი კმაყოფილების დონის განსაზღვრა სწავლების ხარისხით და პროგრამების სარგებლით.
2. კურსდამთავრებულთა ჩართულობის შეფასება პროფესიულ საქმიანობაში და სამუშაო ბაზარზე მათი მზადყოფნა (დასაქმება, თვითდასაქმება, სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სხვა აქტივობები);
3. ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, რაც მომავალში სწავლის პროცესის გაუმჯობესების წინაპირობა გახდება.

კვლევის მეთოდოლოგია და ტექნიკური მხარე

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდით, პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით, რომლის ფარგლებშიც მობილიზდა კოლეჯ „აისის" შიდა ადამიანური რესურსი. მონაცემთა შეგროვება განხორციელდა მეთოდოლოგიურად გამართული, სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც ინტეგრირებული იყო ელექტრონულ პლატფორმაზე: https://evaluation.ge/ კურსდამთავრებულებს შეეძლოთ კითხვარის შევსება მოქნილად, დისტანციური წვდომით, როგორც პერსონალური კომპიუტერის, ისე მობილური ტელეფონის საშუალებით. თუმცა, კოლეჯმა „აისმა“ საჭიროებიდან გამომდინარე, კვლევის დროს დამატებით გამოიყენა სატელეფონო ინტერვიუს ტექნიკა.

კვლევის სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფი განისაზღვრა კოლეჯ „აისის“ და მისი ფილიალების 2024 წლის იმ კურსდამთავრებულთა რაოდენობით, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს სასწავლო პროგრამა და მოიპოვეს შესაბამისი კვალიფიკაცია.

2024 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა სსიპ კოლეჯ „აისის“ 21 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის 439 კურსდამთავრებულს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 430-მა კურსდამთავრებულმა ანუ საერთო რაოდენობის 98%-მა.



კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა პროგრამების მიხედვით

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით კოლეჯ „აისის“ 2024 წლის კურსდამთავრებულთა კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა ასე გამოიყურება:

N	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	პროგრამის განხორციელების ადგილი	კურსდამთავრებულთა რაოდენობა	გამოკითხულთა რაოდენობა
1	ვეტერინარია	კაჭრეთი	26	25
2	კულინარიის ხელოვნება	კაჭრეთი	31	31
3	იატაკისა და ფილის სამუშაოები	კაჭრეთი, ლაგოდეხი	20	20
4	ხის მხატვრული დამუშავება	კაჭრეთი	14	13
5	მევენახეობა-მეღვინეობა	კაჭრეთი	7	7
6	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	კაჭრეთი	11	11
7	სატყეო საქმე	კაჭრეთი, ლაგოდეხი	25	25
8	ელექტროობა	კაჭრეთი, დედოფლისწყარო	44	40
9	თმისა და სილამაზის მომსახურება	კაჭრეთი, ალვანი, დედოფლისწყარო	41	39
10	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	კაჭრეთი	27	27
11	მეფუტკრეობა	კაჭრეთი, ლაგოდეხი	22	22
12	ინფორმაციის ტექნოლოგია	კაჭრეთი	14	14
13	ბუღალტერული აღრიცხვა	ლაგოდეხი, დედოფლისწყარო	37	37
14	მებაღეობა	ლაგოდეხი	13	13
15	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	ლაგოდეხი	13	13
16	საოფისე საქმე	ლაგოდეხი	15	15
17	ქვის სამუშაოების წარმოება	დედოფლისწყარო	15	15
18	თექის დამზადება	ალვანი, დედოფლისწყარო	26	26
19	მხატვრული ქსოვილები	ალვანი	12	12
20	კერამიკული ნაკეთობის დამზადება	ალვანი	15	15
21	მომინანქრება	ალვანი	11	10
			439	430

დემოგრაფიული და ასაკობრივი მონაცემები

გამოკითხული 430 კურსდამთავრებულიდან 175 იყო ქალი და 255 ვაჟი, რაც პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა: 39% ქალი და 61% მამაკაცი.



რაც შეეხება ასაკობრივ მონაცემებს, კურსდამთავრებულთა უმრავლესობა - 258 ადამიანი (60%) იყო 25 წელზე მეტი ასაკის, ხოლო 15-დან 25 წლამდე ასაკის კურსდამთავრებულთა რაოდენობამ შეადგინა 172 ადამიანი ანუ 36%.



დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი

კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ სსიპ კოლეჯ „აისის“ 2024 წლის 430 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 332, რაც შეადგენს გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 77%-ს. რაც შეეხება, უმუშევრობის საერთო მაჩვენებელს, გამოკითხვის მომენტში 98 კურსდამთავრებული, ანუ გამოკითხულთა 23% არის უმუშევარი.



საინტერესო იყო კოლეჯის კურსდამთავრებულთა სტატუსი პროფესიულ საგანმამათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყების მომენტისთვის. კვლევის თანახმად გაირკვა, რომ კოლეჯ „აისისა“ და მისი ფილიალების 430 კურსდამთავრებულის სტატუსი პროფესიულ საგანმამათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყების მომენტისთვის გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

დასაქმებული იმ პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეს იყო კურსდამთავრებულთა 10%, თვითდასაქმებული იმ პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეს იყო ასევე კურსდამთავრებულთა 11%, სხვა მიმართულებით დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 22%, ხოლო, თვითდასაქმებული სხვა მიმართულებით აღმჩნდა კურსდამთავრებულთა 14%, რაც შეეხება, იმ პირთა პროცენტულ რაოდენობას, რომლებიც სწავლის დაწყების მომენტისთვის არ მუშაობდნენ, იყო 43%.

პროფესიებზე დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი

ვეტერინარიის სპეციალობის მიმართულებით 2024 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა კოლეჯ „აისის“ 26 სტუდენტს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 25-მა კურსდამთავრებულმა, რომელთაგან 23 ანუ 92% დასაქმებულია, 2 მათგანი კი, რაც შეადგენს კურსდამთავრებულთა 8%-ს, არ მუშაობს.



კულინარიის ხელოვნების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2024 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა კოლეჯ „აისის“ 31 სტუდენტს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. დასაქმებულია 28 ანუ 90%, ხოლო 3 კურსდამთავრებული ანუ 10% უმუშევარია.



იატაკისა და ფილის სამუშაოების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კოლეჯ „აისის“ კაჭრეთსა და ლაგოდეხის ფილიალში კვალიფიკაცია მიენიჭა 20 სტუდენტს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა მათგანმა, რომელთაგან დასაქმებული აღმოჩნდა 14 კურსდამთავრებული ანუ 70%, 6 კურსდამთავრებული უმუშევარია, რაც შეადგენს 30%-ს.



ხის მხატვრული დამუშავების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა კოლეჯ „აისის“ კაჭრეთსის ბზაზე ხორციელდება. 2024 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 13 კურსდმთავრებულს. მათგან დასაქმებულია 9, რაც შეადგენს კურსდამთავრებულთა 69%-ს. 4 მათგანი ანუ 31% არ მუშაობს.



მევენახეობა-მეღვინეობის დუალურ პროგრამაზე 2024 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 7 კურსდამთავრებულს. მათგან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველამ და შვიდივე დასაქმებულია, რაც 100%-იან მაჩვენებელს წარმოადგენს.

კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ინტეგრირებული პროგრამაზე კვალიფიკაცია მიენიჭა 11 სტუდენტს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა მათგანმა. დასაქმებულია 7 ანუ 64%. არ მუშაობს 4 (36%)კურსდამთავრებული.



სატყეო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კაჭრეთში და ლაგოდეხის ფილიალში. 2024 წელს ორივე ლოკაციაზე სწავლა დაასრულა 25-მა სტუდენტმა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ყველა მათგანმა. დასაქმებულია 22 კურსდამთავრებული, რაც შეადგენს 88%-ს. 3 კურსდამთავრებული ანუ 12% არ მუშაობს.



ელექტროობის სპეციალობაზე კოლეჯ „აისის“ კაჭრეთის და დედოფლისწყაროს ფილიალში 2024 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 44 კურსდამთავრებულს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 40-მა კურსდამთავრებულმა, რომელთაგან 35 ანუ 88% დასაქმებულია, 5 ანუ 12% არ მუშაობს. პროცენტული მაჩვენებლი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



თმისა და სილამაზის მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (კაჭრეთში, დედოფლისწყაროსა და ალვანის ფილიალებში) 2024 წელს დაასრულა 41-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 39-მა კურსდამთავრებულმა. მათგან 25 ანუ კურსდამთავრებულთა 64% დასაქმებულია, 14 ანუ 36% უმუშევარია.



მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც კაჭრეთის ბაზაზე ხორციელდება, 2024 წელს დაასრულა 27-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 23 ანუ 85%, არ მუშაობს 4 ანუ 15%. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად:



მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კაჭრეთისა და ლაგოდეხის ლოკაციებზე 2024 წელს დაასრულა 22-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 16 ანუ 73%, არ მუშაობს 6 ანუ 27%. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც კაჭრეთის ბაზაზე ხორციელდება, 2024 წელს დაასრულა 14-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 9 ანუ 64%, არ მუშაობს 5 ანუ 36%. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დედოფლისწყაროს და ლაგოდეხის ლოკაციებზე 2024 წელს დაასრულა 37-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 30 ანუ 81%, არ მუშაობს 7 ანუ 19%. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ლაგოდეხის ფილიალში. 2024 წელს მებაღეობის ინტეგრირებული პროგრამა დაასრულა 13-მა კურსდამთავრებულმა. კვლევაში ყველა მათგანმა მიიღო მონაწილეობა. დასაქმებულია 10 (77%) კურსდამთავრებული, არ მუშაობს 3 (23%) კურსდამთავრებული.



თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ლაგოდეხის ფილიალში ხორციელდება, 2024 წელს დაასრულა 13-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 10 ანუ 69%, არ მუშაობს 3 ანუ კურსდამთავრებულთა 31%. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ლაგოდეხის ფილიალში ხორციელდება, 2024 წელს დაასრულა 15-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 9 ანუ 60%, არ მუშაობს 6 ანუ კურსდამთავრებულთა 40%. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



ქვის სამუშაოების წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც დედოფლისწყაროს ფილიალში ხორციელდება, 2024 წელს დაასრულა 15-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 15-მა კურსდამთავრებულმა. მათგან 8 ანუ 53% დასაქმებულია, არ მუშაობს 7 კურსდამთავრებული, რაც შეადგენს 47%-ს. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



თექის დამზადების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ალვანისა და დედოფლისწყაროს ფილიალებში 2024 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 26 სტუდენტს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა მათგანმა. 21 ანუ კურსდამთავრებულთა 81% დასაქმებულია, 5 ანუ 19% არ მუშაობს. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



მხატვრული ქსოვილების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ალვანის ფილიალში ხორციელდება, 2024 წელს დაასრულა 12-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 9 ანუ 67%, არ მუშაობს 3 ანუ 33%. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



კერამიკული ნაკეთობის დამზადების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ალვანის ფილიალში ხორციელდება, 2024 წელს დაასრულა 15-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 12 ანუ 80%, არ მუშაობს 3 ანუ 20%. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



მომინანქრების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ალვანის ფილიალში ხორციელდება, 2024 წელს დაასრულა 11-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 10-მა კურსდამთავრებულმა. მათგან 7 (70%) დასაქმებულია, 3 ანუ 30% უმუშევარი, დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



2024 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა

N	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	პროგრამის განხორციელების ადგილი	კურსდამთავრებულთა	გამოკითხულთა რაოდენობა	დასაქმებულია	არ მუშაობს	დასაქმების %-ული მაჩვენებელი
1	ვეტერინარია	კაჭრეთი	26	25	23	2	92%
2	კულინარიის ხელოვნება	კაჭრეთი	31	31	28	3	90%
3	იატაკისა და ფილის სამუშაოები	კაჭრეთი, ლაგოდეხი	20	20	14	6	70%
4	ხის მხატვრული დამუშავება	კაჭრეთი	14	13	9	4	69%
5	მევენახეობა-მეღვინეობა	კაჭრეთი	7	7	7	0	100%
6	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	კაჭრეთი	11	11	7	4	64%
7	სატყეო საქმე	კაჭრეთი, ლაგოდეხი	25	25	22	3	88%
8	ელექტროობა	კაჭრეთი, დედოფლისწყარო	44	40	35	5	88%
9	თმისა და სილამაზის მომსახურება	კაჭრეთი, ალვანი, დედოფლისწყარო,	41	39	25	14	64%
10	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	კაჭრეთი	27	27	23	4	85%
11	მეფუტკრეობა	კაჭრეთი, ლაფოდეხი	22	22	16	6	73%
12	ინფორმაციის ტექნოლოგია	კაჭრეთი	14	14	9	5	64%
13	ბუღალტერული აღრიცხვა	ლაგოდეხი, დედოფლისწყარო	37	37	30	7	81%
14	მებაღეობა	ლაგოდეხი	13	13	10	3	77%
15	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	ლაგოდეხი	13	13	9	4	69%
16	საოფისე საქმე	ლაგოდეხი	15	15	9	6	60%
17	ქვის სამუშაოების წარმოება	დედოფლისწყარო	15	15	8	7	53%
18	თექის დამზადება	ალვანი, დედოფლისწყარო	26	26	21	5	81%
19	მხატვრული ქსოვილები	ალვანი	12	12	8	4	67%
20	კერამიკული ნაკეთობის დამზადება	ალვანი	15	15	12	3	80%
21	მომინანქრება	ალვანი	11	10	7	3	70%
	სულ		439	430	332	98	77%

კურსდამთავრებულთა სამუშაოს მახასიათებლები

კურსდამთავრებულთა კვლევის ფარგლებში, ასევე, გვაინტერესებდა დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სამუშაოს კონკრეტული მახასიათებლები. კერძოდ, მათი მოლოდინების გამართლება არჩეულ პროფესიეთან მიმართებაში, პროფესიული საქმიანობის შესასრულებლად აუცილებელი უნარების და კომპეტენციების ფლობა, ამჟამინდელი სამუშაოს შესაბამისობა პროფესიულ კვალიფიკაციასთან და კარიერული განვითარების შემდგომი გეგმები.

გამოკითხული კურსდამთავრებულების უმეტესი ნაწილისთვის (72%) მოლოდინი გამართლდა არჩეულ პროფესიასთან მიმართებაში. 19%-მა აღნიშნა, რომ მათმა წარმოდგენამ მოლოდინს გადააჭარბა. გამოკითხულთა 7% გაცილებით მეტს ელოდა და მხოლოდ 2% -ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.



რამდენად შეესაბამება კურსდამთავრებულთა ამჟამინდელი სამუშაო მათ პროფესიულ კვალიფიკაციას, უმრავლესობამ - 335 მონაწილემ (78%) აღნიშნა, რომ სრულიად შეესაბამება, 30 (15%) კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ გაცილებით მაღალი კვალიფიკაცია აქვთ, ვიდრე მათი სამუშაო ითხოვს, ხოლო 65-მა (15%) კურსდამთავრებულმა დააფიქსირა, რომ მათი ამჟამინდელი სამუშაო ითხოვს უფრო მაღალ კვალიფიკაციას.



კურსდამთავრებულთა შემდგომი გეგმები

კითხვაზე, რა ტიპის ცვლილებებს გეგმავთ თქვენს შემდგომ კარიერულ განვითარებაში, მონაცემების ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ:

1. ყველაზე მეტი კურსდამთავრებული (180) არ გეგმავს არანაირ ცვლილებას.
2. მეორე ადგილზეა საკუთარი ბიზნესის დაწყების სურვილი (92 რესპონდენტი).
3. მნიშვნელოვანი რაოდენობა (76) გეგმავს სამსახურის დაწყებას.
4. სწავლის გაგრძელებას გეგმავს 40 კურსდამთავრებული.
5. შედარებით ნაკლები (30) გეგმავს სამსახურის შეცვლას.



*აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის მონიშვნა. ამიტომ, ჯამური რიცხვი აღემატება რესპონდენტების საერთო რაოდენობას. ეს მიუთითებს, რომ საშუალოდ თითო რესპონდენტმა 3-4 პასუხი მონიშნა.

პროფესიული პროგრამების სარგებლიანობის შეფასება

კურსდამთავრებულთათვის პროფესიული პროგრამების სარგებლიანობის შეფასება განხორციელდა ოთხი ძირითადი მიმართულებით: ადეკვატური სამუშაოს მოძიება, სამსახურში სამუშაოს ეფექტურად შესრულება, პროფესიული კარიერული განვითარება და პიროვნული განვითარება. ყველა მიმართულებაში გამოიკვეთა მკაფიოდ დადებითი ტენდენციები.

კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ (86%) პროგრამები შეაფასა როგორც „ძალიან სასარგებლო“ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზნისთვის. დამატებით, კურსდამთავრებულთა 12%-მა პროგრამა „სასარგებლოდ“ მიიჩნია. მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილმა - რესპონდენტთა 2%-მა აღნიშნა, რომ პროგრამა, რომელზეც სწავლობდნენ მათთვის „არ იყო სასარგებლო“.

კურსდამთავრებულთა დამოკიდებულება სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მიმართ

კურსდამთავრებულების დიდი ნაწილი პოზიტიურად აფასებს სასწავლო გარემოსა და სწავლის პროცესის ხარისხს. განსაკუთრებით მაღალი შეფასება მიენიჭა შემდეგ ასპექტებს:

სწავლების ხარისხი კურსდამთავრებულთა 92%-მა შეაფასა დადებითად. მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი - 95%, სტუდენტებისთვის განკუთვნილი ექსტრაკურიკულური აქტივობები - 88%, სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა - 91% , საგანმანათლებლო პროცესში მრავალმხრივი კომუნიკაციის შესაძლებლობა, სტუდენტთა მოსაზრებების გათვალისწინება სასწავლო პროცესსა და მართვაში - 85%, დაწესებულების ინფრასტრუქტურა და კეთილმოწყობა შშმ და სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი და ადაპტირებული გარემო - 99%.

ეს მიუთითებს იმაზე, რომ კურსდამთავრებულები არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ სოციალურ და სასწავლო გარემოს კომპონენტებსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პროფესიული განათლების მიღების პროცესში.

სწავლისას მიღებული კომპეტენციების შეფასება

კვლევის ფარგლებში კურსდამთავრებულებს დაესვათ კითხვა, რამდენად განივითარეს კონკრეტული უნარები და კომპეტენციები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პროცესში. პასუხები ნათლად მიუთითებს, რომ მათი დიდი ნაწილი კმაყოფილია მიღებული განათლებით და საკუთარ პროფესიულ განვითარებაში პროგრესს ხედავს. როგორც აღნიშნეს, საფუძვლიანად განივითარეს შემდეგი უნარები და კომპეტენციები:

პროფესიული ცოდნა განივითარა 90%-მა, პროფესიული უნარები და პრაქტიკული კომპეტენციები 88%-მა, გუნდური მუშაობის უნარი 85%-მა, სწავლის უნარიკურსდამთავრებულთა 78%-მა, პრობლემის გადაჭრის უნარი 76%-მა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება 74%-მა, შემოქმედებითი და ახალი იდეების შემუშავების უნარი განივითარა კურსდამთავრებულთა 72%-მა, განსხვავებულ პირობებთან ადაპტაციის უნარი 80%-მა, მეწარმეობის უნარი 71%-მა და კომპიუტერული უნარები განივითარა კურსდამთავრებულთა 75%-მა.

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ პროფესიული განათლების პროგრამები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სხვადასხვა უნარების განვითარებას. კურსდამთავრებულები განსაკუთრებით დადებითად აფასებენ მათ მიერ შეძენილ პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც მათ მომავალ დასაქმებასა და პროფესიულ წარმატებას უქმნის მყარ საფუძველს.

სწავლით ზოგადი კმაყოფილების შეფასება

კითხვაზე მთლიანობაში რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯში სწავლის პერიოდით და აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, კურსდამთავრებულების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ კოლეჯში სწავლით ძალიან კმაყოფილია. მათი თქმით, მიღებული ცოდნა და უნარები პრაქტიკაში გამოადგათ და დასაქმებაშიც გარკვეული როლი ითამაშა. განსაკუთრებით დადებითად აფასებენ პრაქტიკულ მეცადინეობებს და იმ გამოცდილებას, რაც რეალურ სამუშაო გარემოსთან დაახლოებამ მისცათ. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, ვინც ფიქრობს, რომ ზოგი მიმართულება დასახვეწია. მათი აზრით, უკეთესი იქნებოდა მეტი პრაქტიკა და უფრო თანამედროვე პროგრამები. მიუხედავად ამისა, საერთო შეფასება მაინც დადებითია და უმეტესობა თვლის, რომ კოლეჯში სწავლა მათთვის სასარგებლო ეტაპი იყო.

დასკვნა

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა რეგულარული კვლევა კოლეჯ „აისს“ საშუალებას აძლევს გაანალიზოს პროფესიული განათლების ხარისხი და მისი გავლენა პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. კოლეჯ „აისის“ 2024 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დასაქმების საერთო მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია 77% და წინა წელთან შედარებით 2%-ით გაიზარდა. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგ. მევენახეობა-მეღვინეობის დუალური სწავლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დასაქმების მაჩვენებელი კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ეტაპზე იყო100%. ასევე, 90%-ის ფარგლებშია ვეტერინარიის და კულინარიის ხელოვნების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.

რესპოდენტთა უმრავლესობას პროფესიული განათლების მიმართ ჰქონდა დადებითი შეხედულება და კოლეჯ „აისში“ სწავლის შემდეგ მათი ეს მოლოდინები გამართლდა, რადგან მათი აზრით, კოლეჯის ინფრასტრუქტურა და პროფესიისთვის საჭირო რესურსები იძლევა ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კმაყოფილია მიღებული პროფესიული განათლებით და საკმაოდ დადებითად აფასებს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

კურსდამთავრებულები აფასებენ კოლეჯში მიღებულ განათლებას და ხედავენ მის მნიშვნელობას თვითრეალიზაციისთვის. ამავდროულად, მათი სურვილები და რეკომენდაციები მიმართულია პროგრამების შემდგომი გაუმჯობესებისკენ და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებისკენ.